



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებს შეხვდებიან**

**პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი**

16 აპრილს, 16:00 საათზე, საქართველოს პარლამენტში (პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზი), იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები ქალაქ თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან გამართავენ შეხვედრას თემაზე: „ბავშვთა მიმართ ძალადობის გამომწვევი მიზეზები და მათი აღმოფხვრის საშუალებები“.

შეხვედრა გაიმართება საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტის „მოვუსმინოთ მოსწავლეებს“ ფარგლებში.

საჯარო სკოლების მოსწავლეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართავენ: იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ეკა ბესელია და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე - ლია გიგაური.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრების თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან შეხვედრა დისკუსიის ფორმატში გაიმართება.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტი „მოვუსმინოთ მოსწავლეებს“